ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №2020-006

ქ. თბილისი

31 დეკემბერი, 2019 წ.

ერთი მხრივ, **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი**, წარმოდგენილი სახალხო დამცველის პირველი მოადგილის თამარ გვარამაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მაისურაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი”), საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საჭიროებისთვის საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერული პროგრამის „კოდექსი 2007 R3” (ქსელური ვერსია) მონაცემთა ბაზის (CPV 48312000 - ელექტრონული პუბლიკაციების პროგრამული პაკეტები) შესყიდვა.

1.2. კოდექსი რეალიზებულია ოპერატიულ სისტემა WINDOWS SERVER 2012/2016 - ში. ინფორმაციული ბაზის მოცულობა შეადგენს 15 476.5 მეგაბაიტს.

2. **ხელშეკრულების ფასი**

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1200.00 (ერთი ათას ორასი) ლარს, მათ შორის ერთი თვის მომსახურება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. **ხელშეკრულების განხორციელების ვადები და პირობები**

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების ელექტრონულად ხელმოსაწერის თარიღიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს.

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მომსახურების გაწევისთანავე ფორმდება „მიღება–ჩაბარების“ აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ – ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5. **ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება–ჩაბარების“ აქტი და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.4 „მიღება–ჩაბარების“ აქტისა და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

6. **მხარეთა უფლებამოვალეობანი**

6.1 **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

6.1.1 უზრუნველყოს „კოდექსის“ გამართული მუშაობა და ინფორმაციული განახლება ყოველკვირეულად, რაც გულისხმობს 2020 წლის მიმდინარე თარიღისათვის მიღებულ და მოქმედ:

- საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, საქართველოს მთავრობის და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ნორმატიულ აქტებს (კანონები, დადგნილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები, ფოსტოგრამები და ა.შ.);
- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, მინისტრთა საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის ძირითად დადგენილებებს;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებებს და გადაწყვეტილებებს;
- საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადებულ და რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

6.1.2 გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი მომსახურება;

6.1.3 მიაწოდოს კოდექსის განახლების ფაილები დამკვეთს INTERNET-ის საშუალებით, შემდეგ ელ.ფოსტის მისამართზე: admin@ombudsman.ge

6.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

6.1.5 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6.1.6 თავისი ხარჯით გამოასწოროს გაწეული მომსახურების ხარისხის ხარვეზი.

6.1.7 შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მოახდინოს გაწეული მომსახურების სრული ინფორმაციული უზრუნველყოფა;

6.2 **„შემსყიდველი” ვალდებულია:**

6.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2.2 დროულად განიხილოს “მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა უფლებები

7.1 **„მიმწოდებელს” უფლება აქვს:**

7.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

7.2 **„შემსყიდველს” უფლება აქვს:**

7.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

7.2.2 არ მიიღოს უხარისხო შესრულება

8. ცვლილებები

8.1 ხელშეკრულებაში წინასწარი შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“

8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ორივე მხარის ხელმოწერით შეთანხმების დოკუმენტის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი დარღვევა გამოწვეულია ისეთ დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (ფორსმაჟრული გარემოება), რომლის წინასწარ გათვალისწინება ანდა გონივრული მეთოდებით გადალახვა შეუძლებელია. ასეთი გარემოებებია (და არამხოლოდ) მიწისძვრა; წყალდიდობა; ხანძარი; ქარიშხალი; დიდთოვლობა; ნისლი; ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებები; ცენტრალური ენერგო მომარაგების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) და ცენტრალური წყალმომარაგების შეწყვეტა მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზით; სამხედრო მოქმედებები; ეპიდემიები; გაფიცვები; სამთავრობო ორგანოების გადაწყვეტილებები ან მათი არარსებობა; ბლოკადა; ემბარგო; საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

9.2 ფორსმაჟორული გარემოების არსებობა გათვალისწინებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსა თუ დაწესებულების მიერ ოფიციალურად.

9.3 მხარე ვალდებულია, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება ერთმევა, ვალდებულების შეუსრულებლობა გაამართლოს ფორსმაჟორზე მითითებით.

9.4 თუ ფორსმაჟორული გარემოება გრძელდება იმდენ ხანს, მაგრამ უწყვეტად არანაკლებ 30 კალენდარული დღისა, რომ მისი მიზეზით ვერშესრულებადი ვალდებულების შეუსრულებლობა მხარის მიერ, მეორე მხარისათვის ინტერესს უკარგავს ამ ხელშეკრულების კვლავ არსებობას, ამ მეორე მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.5 მხარეებს ასევე შეუძლიათ. ფორსმაჟორის დადგომის შემთხვევაში, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის გარეშეც ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ, შეაჩერონ ან შეცვალონ ეს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10.2 შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან შეფერხების სხვაგვარად აღმოფხვრის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

11 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს–მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 პირგასამტეხლოს გარდა მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

11.1.1 ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

11.1.2 მხარეთა შეთანხმებით;

11.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13 ინსპექტირების პირობები

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - **მამუკა დავითაშვილი.**

13.2 ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

13.2.1 მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

13.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა.

14 მხარეთა პასუხისმგებლობა

14.1 თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შერულებით, ასევე მომსახურების გაწევის დროს გამოწვეული ზიანი.

15 გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. დავა

16.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქარტველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17 დასკვნითი დებულებები

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17.2 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია 1 ელექტრონულ ეგზემპლარად და ინახება როგორც შემსყიდველთან, ასევე მიმწოდებელთან.

18 მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

`შემსყიდველი"
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150
ს.კ: 203860679
ტელ.: 1481 (ცხელი ხაზი); 599 44 11 02
ელ–ფოსტა: nzhorzholiani@ombudsman.ge
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა: 200122900

„მიმწოდებელი"
შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ.#2
ს.კ: 202 268 517
ტელ: 599 54 98 57
საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი",
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE40PC 0293 6001 0000 8969

სახალხო დამცველის პირველი მოადგილე
თამარ გვარამაძე

Public Defender Office of Georgia
Digitally signed by Public Defender Office of Georgia
Date: 2019.12.31 15:46:04 +04'00'

დირექტორი
არჩილ მაისურაძე

Georgian Microsystems LTD
Digitally signed by Georgian Microsystems LTD
Date: 2019.12.31 16:16:01 +04'00'